# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 101/გ

ქ. მცხეთა

16 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე ხატია მჭედლიშვილი შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2018 წლის 17-19 ივლისს ქალაქ მცხეთაში ხელოვნურ საფარიან სტადიონზე ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის დავით კაპანაძის სახელობის ტურნირისთვის მინი ფეხბურთში ერთი ერთეული ბურთის CPV **18412000**, სპორტული ტანსაცმლის (CPV **37525000**) და მთავარი პრიზი ჭედილას (CPV03322100) შესყიდვა.

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 19 ივლისის ჩათვლით.

2.2 ერთი ერთეული ბურთის ღირებულებაა CPV **18412000** – 30.00 ლარი.
სპორტული ტანსაცმლის ღირებულებაა CPV **37525000** – 60.00 ლარი.
მთავარი პრიზი ჭედილას CPV03322100 - 250.00 ლარი
2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 340.00 (სამას ორმოცი) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 `მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
4.2 „შემსყიდველი ~ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი თამაზ გრძელიშვილი.

## 12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მომწოდებელი |
|---|---|
| მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია | ინდ. მეწარმე ხატია მჭედლიშვილი |
| მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის N7 | მის: ქ.მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №93 |
| სახელმწიფო ხაზინა | სს „ლიბერთი ბანკის" |
| ხაზინის კოდი: TRESGE22 | ბანკის კოდი: LBRTGE22 |
| ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022 | ა/ნ GE33LB0112 1110 4573 1000 |
| ს/კ 236099789 | ს/კ 24001044420 |
| ტელ: 251 26 96 | ტელ: 2 512820 595311331 |
| | ინდ. მეწარმე |
| მუნიციპალიტეტის მერი | |
| გიორგი კვანტე | ხ. მჭედლიშვილი |

მცხეთა

16.07. 2018 წელი

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის გათვალისწინებულ პირობებს. (ინდ. მეწარმე ხატია მჭედლიშვილი, ხელშეკრულება 101/ვ).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე